პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 21 მაისი, 1943 წ. № 110 (6735). ფასი 20 კაპ.

ქართველ მებრძოლთა წმიდა ფიცი

უდიდესი ძალით გაისმა მთელ ჩვენს ქვეყანაში ქართველ მებრძოლთა შესანიშნავი წერილის უბადლო სიტყვები საქართველოს მშრომელებისადმი. ამ წმიდა ფიცმა არაჩვეულებრივად გაიხმაურა ხალხის სულსა და გონებაში, დაეუფლა მის ყველაზე უფრო კეთილშობილურ გრძნობებს, ცვლილის ხაზიდან ელვასავით მოტყორცნილმა აზრებმა კიდევ უფრო მგზნებარედ აანთეს საბჭოთა პატრიოტების მართალი გული. ძნელია ენით გამოსთქვა ის უნაპირო სიხარული და უღრმესი აღფრთოვანება, ის დაუცხრომელი მაჯისცემა და კანონიერი სიამაყე, რასაც ამ წერილთან დაკავშირებით განიცდის თავისუფლებისმოყვარე მთელი ქართველი ხალხი.

საუკუნეების მანძილზე საერთო მტერთან მხარდამხარ ბრძოლაში გამოიჭედა სასურველი, ჭეშმარიტი მეგობრობა, რამაც დიდი რუსი ხალხი და ქართველი ხალხი განუყრელ ძმებად შეაერთა. „მოსკოვთან და სტალინგრადთან წარმოებულ ბრძოლებში,—სწერს „პრავდა“, — ბრძოლებში კავკავთან, თერგზე და ყუბანში ერთხელ კიდევ შეერია ერთმანეთს რუსი და ქართველი ხალხების შვილთა სისხლი, ერთხელ კიდევ განმტკიცდა წმიდა ძმადნაფიცობა“. საბჭოთა ხალხების ლენინურ-სტალინური მეგობრობის დიადი გრძნობით სუნთქავს ქართველ მებრძოლთა წერილის ყოველი სტრიქონი. იგი წარმოადგენს წმიდა ფიცს ბრძოლის ველიდან საყვარელი სამშობლოს წინაშე: „დაუხდომლად ველიტოთ ჩვენი ხალხის დაუძინებელი მტრის პირსისხლიანი ურდოები და მარჯვენის სიმტკიცით დავადასტუროთ ჩვენი თავდადება მამულისადმი“. ქართველ ხალხს ისტორიულად მოსდგამს გმირული ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ. მას წინაპრებმა უანდერძეს: „ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგეროს მოსული მტერი“.

ამ წარსულ გმირულ ბრძოლებს მოგვაგონებენ ქართველი მებრძოლები თავიანთ წერილში. პირველ სამამულო ომში 1812 წელს მამაც ქართველთა სახელოვანი ბრძოლა ნაპოლეონის „დიდი არმიის“ წინააღმდეგ აღმაფრთოვანებელ ფურცლად ჩაიწერა ჩვენი ხალხის ისტორიაში და ბარბაროსულ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ახალ ძალებს გვმატებს. უკვდავი დიდების შარავანდედით არიან მოსილნი ქართველი ხალხის ღვიძლი შვილები—საბჭოთა კავშირის გმირები, მამაცი მეთაურები, მხედართუფროსები, მებრძოლები, რომლებმაც მტერთან ბრძოლაში ასახელეს საბჭოთა იარაღის ყოვლისმძლე ძალა.

ვერაგ მტერს იმედი ჰქონდა, რომ დაიპყრობდა იმ ქვეყანას, სადაც „პირველად გაშალა მძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გენიამ“. იმ დაძაბულ დღეებში ამხანაგმა **ბერიამ** დიდი სტალინის დავალებით მტკიცე ხელით მოაწყო ამიერ-კავკასიის დაცვა, შეამჭიდროვა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხები მტრის უკუსაგდებად და ჰიტლერული ურდოები წითელი არმიის მიერ დამსხვრეულ იქნენ კავკასიის მისადგომებთან.

ფაშისტი მხეცი ცდილობს დაიმონოს ჩვენი ქვეყანა. უმაგალითოა მისი ველურობა და ბარბაროსობა. ამიტომ „შურისძიების წმიდა გრძნობა გვაკავებს ჩვენ მამულისა და თავისუფლების მოსისხლე მტერთან ბრძოლაში“,—სწერენ ქართველი მებრძოლები.

უწმიდესი გრძნობაა! ეს გრძნობა ამოძრავებს მილიონობით საბჭოთა ადამიანებს საგმირო, სასახელო საქმეების ჩასადენად ფრონტზე და ზურგში ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქართველი მებრძოლები სწერენ თავიანთ საყვარელ დედებს, მამებს, ცოლებსა და დებს: „თქვენს წინაშე ვდებთ საზეიმო აღთქმას, რომ არცერთ მტკაველ საბჭოთა მიწას არ დავუთმობთ მტერს და ზედმიწევნით მოვემზადებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის“. ისინი ამავე დროს მოუწოდებენ საქართველოს მშრომელებს—მაღაროელებსა და საჭურველის მკეთებელთ, რკინიგზელებსა და კვების მრეწველობის მუშაკებს, საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებს, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ოსტატებს — არ დაზოგონ ძალღონე დიდი ბელადის მოწოდების განსახორციელებლად!

მქუხარე მოწოდებათ მოედო ქართველ მებრძოლთა სიტყვები მთელ ქართველ ხალხს, ჩვენს ამაყ მთებსა და ზურმუხტოვან ველ-მინდვრებს! ხალხმა გაიგონა თავისი მამაცი შვილების მხედრული ფიცის ხმა და ერთიანად დაიგუგუნა: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ფრონტისათვის, გმირი წითელი არმიისათვის, რათა დავაჩქაროთ საზეზღარი მტრის სრული გასაგდურება.

კახეთის მზიანი ველებიდან აყვავებულ იმერეთამდე, აფხაზეთის ნარინჯებიდან ქართლის ზღვადაგაშლილ მიწებამდე საქართველოს მშრომელებმა თავიანთ მრავალრიცხოვან მიტინგებზე, სადაც ქართველ მებრძოლთა წერილი განიხილეს, ერთხმად განაცხადეს:

— მტკიცე პირობას გაძლევთ, მშობლიურო ჩვენო ძმებო, შვილებო და მამებო, ფრონტზე მყოფო მებრძოლებო, რომ ყოველმხრივ დაგეხმარებით საძულველი მტრის განადგურებაში.

ასე სთქვეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა. ამასვე იმეორებენ თბილისის სხვა საწარმოთა მუშები. და კიდევ:

— გავიგონე ჩემი ძმების ხმა. ამ წერილში ვიგრძენი ფრონტზე მყოფი ჩემი ხუთი ძმის გულისცემა, ვიგრძენი მათი მოწოდების ხმა, და გულმა სიამით დამიწყო ძგერა.

ასე ამბობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ბრიგადირი ვარლამ ბეჟუაშვილი, რომელმაც იკისრა სულ ცოტა 400 პროცენტით შეასრულოს გეგმა და ამავე დროს, როგორც საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლების მეთაურმა, გაწრთვნილი, მომზადებული ცვლა მისცეს წითელ არმიას.

ქართველ მებრძოლთა წერილის პასუხად უფრო სწრაფად იღლიან ორდენსნშნების ყიფიანისა და ჰაქსაშვილის კრივონონსული მატარებლები. გეგმის გადამეტებით 20.000 მეტრ მზა ქსოვილს გამოუშვებენ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები. მეტი და მეტი პროდუქციას დაამზადებენ ჩვენი მრეწველობის საწარმოები. მეტი ნაყოფიერებით იმუშავებენ ზატტები და მაღაროები, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად.

ძვირფასო მებრძოლნო! საქართველოს მეცნიერნი თქვენთან ერთად არიან,—ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. ამასვე იმეორებენ ჩვენი მეცნიერები ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ყველგან, სადაც ისინი მეცნიერულ აზრს ململ ფრონტის დასახმარებლად.

დაე ოკეანისებური სიძლიერით გრგვინავდეს ხალხის შემოქმედებითი ძალა და ენერგია. საქართველოს მშრომელები ბოლომდე შეასრულებენ თქვენს მგზნებარე პატრიოტულ მოწოდებას, ძვირფასო მებრძოლო ამხანაგებო!

თბილისი. № 2467 ევაკოჰოსპიტალი

მედსანსამსახურის კაპიტან ამხ. იმნაძეს. უფროსის მოადგილეს პოლიტნაწილში კაპიტან ამხ. ბოიცოვს, წამყვან ქირურგს პროფესორ ამხ. ედიბერიძეს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა № 2467 ევაკოჰოსპიტალის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებსა და მედმუშაკებს, რომლებმაც 35.000 მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

ი. სტალინი

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი

20 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანდასწრებით მიიღო ა. შ. შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი. ბ-ნი დევისი ამხ. სტალინს წარუდგინა ა. შ. შტატების ელჩმა ბ-ნმა ვ. გ. სტენდლმ.

ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი

20 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი. მიღებას დაესწრო ა. შ. შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვილიამ გ. სტენდლი.

ა. შ. შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელმა ბ-ნმა დევისმა ინახულა სტალინგრადი

სტალინგრადი, 18 მაისი (საკდესი). 18 მაისს ა. შ. შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი ეუბნებშვილიდან სტალინგრადს მოვიდა. ბ-ნმა დევისმა ინახულა სტალინგრადისათვის დაღუპულ მებრძოლთა ძმათა საფლავი. ბ-ნმა დევისმა საფლავი ყვავილებით შეამკო და წითელი არმიის შეკრებილ მებრძოლებსა და სტალინგრადის მცხოვრებთ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მეგობრებო! ბე მოვედი გმირთა ქალაქის სანახავად. ამ ქალაქის დამცველმა ადამიანებმა შესძლეს გერმანელების შეჩერება. ა. შ. შტატების პრეზიდენტ რუზველტისა და ა. შ. შტატების ხალხის სახელით ყვავილებით ვამკობ დაღუპულ გმირთა საფლავს. საბჭოთა კავშირის, ა. შ. შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხალხები თავიანთი ბელადების ხელმძღვანელობით შესძლებენ ჰიტლერის განადგურებას.

დიდება საბჭოთა ჯარისკაცებს!“.

რწმუნებულობის სიგელების გადაცემა იუგოსლავიის ელჩის ბ-ნ ს. სიმიჩის მიერ

19 მაისს, დღის 12 საათზე, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ს. სიმიჩი, რომელმაც თავისი რწმუნებულობის სიგელები გადასცა მას.

ბ-ნ ს. სიმიჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ბ-ნი რ. ფარნკოვიჩი და საელჩოს სამხედრო ატაშე პოპოვიჩ ვასილი მ. ლოზრინი, რომელსაც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 მაისის საღამოს ცნობა

20 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა და ავიაციამ შავ ზღვაში, ანაპა-ქერჩის რაიონში, ჩასძირეს 6 თვითმავალი კარჭაპი მტრის ჯარებიანად.

• • •

19 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ მცირე 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის ეშელონს, დაამსხვრიეს ორი ორთქლმავალი, ჩაანგრიეს მტრის 6 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

• • •

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ-ერთ უბანზე მტერმა ოთხ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალით ძლიერი საარტილერიო და სანაღმტყორცნო მომზადების შემდეგ სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. 5 შენაერთის მებრძოლები გერმანელებს ყველა გვარეობის იარაღის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ, ხოლო შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდნენ. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და უკუგდებულ იქნა. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები.

• • •

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის პოზიციებზე და მის მახლობელ ზურგში. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი მათი გარნიზონებიანად, 4 ქვემეხი, 7 სატყვიამფრქვევო წერტი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი და დამწვარია საწვავის საწყობი.

• • •

იზიუმის რაიონში გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ მათ მიერ წინა დღით დაკარგული. მაღლობი და კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიში და ამ ბრძოლაში მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

• • •

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. გერმანელების მზვერავთა ჯგუფები ცდილობდნენ მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე გადმოსულიყვნენ. ჩვენი ქვეგანაყოფების ცეცხლით ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ. წამოყვანილია ტყვეები. საბჭოთა არტილერისტებმა მოსპეს მტრის თვითმავალი ქვემეხი, დაანგრიეს 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 7 ბლინდაჟი, გაპფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

სევსკის რაიონში მტრის ორმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა გერმანელები უკუაგდეს პირვანდელ ზღუდეზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 90 გვამი. 5 შენაერთის სნაიპერებმა დღის განმავლობაში გასწყვიტეს 70 გერმანელი.

• • •

ვოლხოვის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. დანგრეულია გერმანელთა 13 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, აფეთქებულია 2 სარკინიგზო ვაგონი საომარ მასალიანად, ჩახშობილია მტრის ორი საარტილერიო და სამი სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

• • •

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა დიდ სადამსჯელო ექსპედიციასთან სამი დღის ბრძოლებში 200-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტა. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს მტრის 2 საველე ქვემეხი, 5 ავტომანქანა ტვირთიანად, 2 საშტაბო ავტომანქანა, 13 საზიდარი საომარ მასალიანად და სურსათიანად. ლენინგრადის სხვა რაზმის პარტიზანებმა ნაღმებზე აიფეთქეს გერმანელთა ჯარის ეშელონი, რომელიც ჩუდოვოს სადგურისაკენ მიდიოდა. აფეთქებით მოსპობილია ორთქლმავალი, 7 ვაგონი ჯარისკაცებიანად და 9 პლატფორმა ტანკებიანად და ავტომანქანებიანად.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-15 ქვეითი დივიზიის 106-ე პოლკის მე-2 ასეულის ჯარისკაცმა რუდოლფ შტუმპმა განაცხადა: „მე არმიაში გამიწვიეს ამა წლის თებერვალში, ხოლო აპრილში ფრონტზე გამგზავნეს, იმ ბსეულში, რომელიც ჩვენ შეეცვალეთ, დარჩა 7 ჯარისკაცი, 2 უნტერ-ოფიცერი და ერთი ოფიცერი. ჯარისკაცებს უბადრუკი და დატანჯული შესახედაობა ჰქონდათ, არმიაში გაწვევამდე ვინაში ვცხოვრობდი. ქალაქი სავსეა კელნიდან, მანჰაიმიდან, ჰამბურგიდან, ბერლინიდან და გერმანიის იმ სხვა ქალაქებიდან ევაკუირებული გერმანელებით, რომლებიც საჰაერო თავდასხმებს განიცდიან. ვინაში ბევრია აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ძალით მოყვანილი უცხოელი მუშა. ბევრია ფრანგი, სერბიელი, ბელგიელი, ჰოლანდიელი, იტალიელი და სხვა. იმ ნუშებს, რომლებიც ახლა მობილიზაციით არმიაში მიჰყავთ და ფრონტზე ჰგზავნიან, უცხოელებით სცვლიან. მაგრამ უცხოელებს მუშობა არა სურთ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაფიუჭონ. ფლორიდადორფის საავტომობილო ქარხანაში მათ ამას წინათ დასწვეს არმიისათვის განკუთვნილი ბევრი ავტომანქანა. ობერ ლაში დაიწვა საწყობები მარცხლიანად. ვინაში ზარად გამოირთმა ხოლმე შუქი. საბოტაჟის ასეთი აქტები თითქმის ყოველდღე ხდება“.

• • •

დანიელი ხალხი აქტიურად იბრძის გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. სვენდბორგში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს გემსაშენ ქარხანას, ხანძარმა მოსპო ძირითადი საამქროები, მთელი მოწყობილობა, აგრეთვე საწყობები. ოლბორგის გემთსაშენებში აფეთქებით მწყობრიდან გამოუყვანია მშრალი დოკი. სხვა რაიონში პატრიოტებმა ააფეთქეს სარკინიგზო მოწყობილობის ქარხანა.

მოსკოვში ჩამოვიდა ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი

19 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი, რომელიც 1936-1938 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად იყო საბჭოთა კავშირში.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ჯოზეფ ე. დევისს შეეგებნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვ. ნ. ეფსტიგნეევი, აგრეთვე ამერიკის საელჩოს წევრები საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ვ. სტენდლის მეთაურობით.

ბ-ნ დევისის განცხადება საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან

საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ინტერვიუში ბ-ნმა დევისმა შემდეგი განაცხადა:

„სასიამოვნოა მოსკოვს კვლავ ჩამოსვლა, თუნდაც მოკლე ხნით. სამსახურის მოვალეობის გამო ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში მე გულთბილი მეგობრული ურთიერთობა დავამყარე ბევრ პირთან. ამ ურთიერთობის განახლება მე დიდ კმაყოფილებას მომგვრის.

ჩემთვის განსაკუთრებულ ბედნიერებად მიმაჩნია ის, რომ აქ ვბრუნდები, როგორც ჩვენი დიდი პრეზიდენტის, ბატონ რუზველტის სპეციალური წარმომადგენელი თქვენი დიდი ბელადისადმი, პრემიერ სტალინისადმი მიმართვით.

თქვენმა განსაცვიფრებელმა წინააღმდეგობამ ჰიტლერისადმი მსოფლიო გააოცა, თუმცა მე თავის დროზე ვწინასწარმეტყველებდი, რომ ეს წინააღმდეგობა სწორედ ასეთი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის არსებობს განსხვავებანი ზოგიერთ იდეოლოგიურ კონცეფციაში, მე მაინც თქვენი დიდი სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელებისადმი და საბჭოთა კავშირის ხალხისადმი უდიდესი აღტაცების, პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით აღსავსე დავტოვე მოსკოვი ხუთი წლის წინათ.

ისტორიაში არ მოიპოვება უფრო სახელოვანი ფურცლები, ვიდრე ის ფურცლებია, რომლებიც მოგვითხრობენ იმ წინააღმდეგობაზე, რაც გაუწია აგრესიას საბჭოთა ხალხმა, რომელმაც 1941 წლის ივნისში განიცადა ესოდენ უხეში თავდასხმა, რითაც დადასტურებულ იქნა კეთილსინდისიერების ყველა ცნება. ამ წინააღმდეგობის ისტორია არის ისეთი ეპოპეა, რომელიც ალბათ არ იქნება დავიწყებული, სანამ ადამიანებს თავისუფლება და სილაღე უყვართ.

თქვენი სტალინგრადი უკვდავია. იგი წარმოადგენს იმ ბრძოლის ნიმუშს, რომელსაც ეწეოდნენ სხვა ქალაქები, დიდნი თუ პატარანი, სადაც საბჭოთა ხალხნი, რომელიც ამგვარ განსაცდელს განიცდიდა, უკეთრები დიდებით შეიმოსა თავისი თავი.

როცა გაბარჯვება მოპოვებული იქნება, იმედი მაქვს, რომ არა ერთხელ შეეძლებ კერძო წესით მოვინახულო საბჭოთა კავშირი და გავიცნო დიდ წარმატებებსა და პროგრესს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ნოგელით თქვენ მომავალში.

ჩემი ქვეყანა ამ მსოფლიო ომში გვიან ჩაება, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ადამიანთა რეზერვებია და მეტანიზებული ძალიერების მომზადების მხრივ ჩვენ ახლა ჩვენს შესაძლებლობათა ზენიტს ვაღწევთ. პრემიერ სტალინს, პრემიერ-მინისტრ ჩერჩილსა და პრეზიდენტ რუზველტს და სხვა გაერთიანებული ერების ლიდერების შორის მჭიდროებლური ხელმძღვანელობით საბოლოო განადგურება ფაშისტური აგრესიისა ისევე აშკარაა, როგორც აშკარაა ის, რომ ღამეს დღე მოსდევს“.

უცანასკნელი ცნობები

ნოქსის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 17 მაისი (საკდესი). ა. შ. შტატების საგარეო მინისტრმა ნოქსმა ბოსტონში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ახლოდგება შეტევის ჟამი „ევროპასა და აზიაში მტრის ძირითად სიმაგრეთა“ წინააღმდეგ. გაერთიანებულმა ერებმა, განაგრძო ნოქსმა, უკვე დაამარცხეს მტერი ბორეო ბასტიონებზე. ისინი აძლიერებენ თავიანთ ბატონობას მტრის საკომუნიკაციო ხაზებზე. ნოქსმა გაამოსთქვა გაფრთხილება, რომ მოსალოდნელია შეტევითი ოპერაციები მძიმე მსხვერპლს მოითხოვენ, ისინი მოითხოვენ აგრეთვე სოლიდარობას მოკავშირეთა შორის და სოლიდარობას შეერთებული შტატების შიგნით. ა. შ. შტატებს არ დავიწყებიათ მტრის სისხლიანი დანაშაულობანი. აღნიშნა, რომ მტრის „მშვიდობიანი შემოტევა“ მხოლოდ აღფრთოვანებს ამერიკელებს უფრო მეტი სომარი ღონისძიებებისათვის, ნოქსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ა. შ. შტატები განაგრძობენ ბრძოლას მტრის უსიტყვო კაპიტულაციამდე.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დღისით ამერიკელთა მძიმე ბომბდამშენების დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს გემსაშენებზე კილსა და ფლენსბურგში (გერმანია). ბევრგან აღნიშნულია დიდი ხანძარი, გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლაში მოსპობილია მტრის ბევრი ავიაგამანადგურებელი.

კილს თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი უჭირავს წყალქვეშა ნავების მშენებელ ცენტრთა შორის გერმანიაში. მისი მეტალურგიული კოკები უდიდეს დოკებად ითვლება გერმანიაში.

ინგლისის ავიაციამ 19 მაისს ღამით იერიში მიიტანა სხვადასხვა ობიექტებზე ბერლინში.

ინგლისის ავიაგამანადგურებლები იმავე ღამეს თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს ჩრდილოეთ საფრანგეთში, რკინიგზის ხაზებსა და არხებს საფრანგეთსა და ბელგიაში.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მოკავშირეთა ავიაციამ ინტენსიურად დაბომბა მტრის აეროდრომები სიცილიასა და სარდინიაში. ყველა ობიექტებზე ბევრგან აღნიშნულია დიდი ხანძარი. მოსპობილია მიწაზე მდგომი ბევრი თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 28 მანქანა.

ფრანგთა ნაწილებმა დაიკავეს კუნძული ლა გალიგი

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). აფრის საგენტოს გადმოცემით, ფრანგთა სამხედრო-საზღვაო ნაწილებმა დაიკავეს კუნძული ლა გალიტი, რომელიც დაახლოებით 40 კილომეტრზე იმყოფება სერატის (ტუნისი) კონცხის ჩრდილო-დასავლეთით.

შეკითხვა თემთა პალატაში რომის დაბომბვის შესაძლებლობის შესახებ

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში შეეკითხნენ, შეიძლის თუ არა იტალიის წინააღმდეგ საჰაერო შეტევის გემბანში რომის, როგორც დედაქალაქისა და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რკინიგზის ცენტრის, დაბომბვა. ავიაციის მინისტრის მოადგილემ ბალფურმა უპასუხა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ რომი არ დაიბომბოს. „პირიქით.—დაუმატა ბალფურმა,—როგორც წინათ იყო ნათქვამი. ჩვენ უყოყმანოდ დავბომბავთ რომს, თუ ასეთი ოპერაცია საჭირო და სასარგებლო გახდება ომის მსვლელობაში“.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა პანზეერიასა და ჯრაპანიზე

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). რეიტერის საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც იმყოფება მოკავშირეთა შტაბთან ჩრდილოეთ აფრიკაში, გადმოგვცემს, რომ 18 მაისს ამერიკის ავიაცია თავს დაესხა კუნძულ პანტელერიას. ეს იყო ყველაზე ძლიერი თავდასხმა, როგორიც კი ამ კუნძულს მთელი ომის განმავლობაში განუცდია.

ამერიკის ორმოტორიანმა ბომბდამშენებმა და ავიაგამანადგურებელმა ბომბდამშენებმა კუნძულს 100 ტონანდე ბომბი დააყარეს.

ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ტრაპანის (სიცილია) და ბომბები დააყარეს მოწინააღმდეგის 6 გემს.

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). მალტაში მოქმედ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბი იუწყება. რომ გასულ ღამეს ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ქარხნებსა, ჰიდროთვითმფრინავების ბაზასა, რკინიგზის ნაგებობებსა, მოძრავ შემადგენლობასა, კომუნიკაციებსა და სხვა ობიექტებზე სიცილიასა და დასავლეთ იტალიაში.

ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელები ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით უპასუხებენ

ახალი ვალდებულებები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველ მებრძოლთა წერილს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები, მრავალმანა ნაოფიციერები ელვისებურად გაბრწყინდა. ამწყობი საამქროს მოწინავე სტახანოველმა, ბრიგადირმა ნიკ. ა. ალიხანოვმა ექვსკაციანი ყველთვლიანი ლოკომოტივის დაკალმის 200 პროცენტით შესრულება.

მიტინგზე დიდი აღფრთოვანებით მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— სამშობლოსადმი, დიდი ბელადისა და ბრძენი მხედართმთავრის მშობლიური **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით გამსჭვალულნი, თქვენი წერილის პასუხად, ძვირფასო ამხანაგებო, ქართველო მებრძოლებო, სიტყვას გაძლევთ კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება და ახალი საწარმოო გამარჯვებები შევხვდეთ რკინიგზელთა საკავშირო დღეს.

მეცნიერებისა და კულტურის მეჩრის გასანადგურებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 20 მაისს მოწვეულ მიტინგს დაესწრნენ აკადემიკოსები, პროფესორები, აკადემიის სხვადასხვა განყოფილებათა მეცნიერი თანამშრომლები და მოსამსახურეები. მიტინგი გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნ. მუსხელიშვილმა, რომელმაც სქართველოს მშრომელებისადმი ქართველ მებრძოლთა წერილის წასაკითხავად სიტყვა მისცა აკადემიკოს ნ. კეკელიძეს.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აკად. კ. კეკელიძემ, პროფ. დ. ლოლობერიძემ, პროფ. ნ. მოსტკოვმა და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ ქართველი ხალხის საყვარელ შვილთა—მებრძოლთა კეთილშობილური გრძნობებით აღსავსე ეს ამაღელვებელი წერილი აღაფრთოვანებს ზურგში მყოფ ყველა მშრომელს ახალი შრომითი მიღწევებისა და გმირობისათვის. საქართველოს მეცნიერ შუშაკები სიამაყის გრძნობით ხვდებიან მებრძოლთა ამ წერილს, რომელიც მათ ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს.

— სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო მებრძოლნო,—ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში,—რომ არ დავზოგავთ ძალღონეს, ცოდნას, ნიჭსა და ენერგიას თქვენს დასახმარებლად, ჩვენი ფრონტის, ჩვენი მშობლიური წითელი არმიის დასახმარებლად. ჩვენ პირნათლად შეავასრულებთ დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდებას, გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ და მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ მეცნიერებისა და კულტურის დაუძინებელი მტრის—გერმანული ფაშიზმის განადგურების დიად საქმეს.

უცლვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა

19 მაისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელებისადმი. ქართველ მებრძოლთა წერილი და „პრავდის“ 16 მაისის მოწინავე მიტინგს გააცნო პროფ. ა. ხარაძემ. ყურადღებით ისმენდნენ მიტინგზე მყოფნი ქართველი ხალხის მამაც შვილთა წერილს ფრონტიდან, სადაც ისინი ღირსეულად იცავენ საყვარელი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

— ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა. ხალხთა სტალინური მეგობრობით განმტკიცებული ჩვენი წითელი არმია შემუსრავს ჰიტლერელ ოკუპანტებს, ჩვენ მთელი შესაძლებლობით დავეხმარებით წითელ არმიას ამ საქმეში.—განაცხადა პროფ. ს. ბერაძემ.

აბაღელვებელი სიტყვებით მიმართა მიტინგს სამამულო ომის მონაწილემ ასპირ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 მაისის დილის ცნობა

18 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ყუბანში, ნოვოროსიისკის რაიონში—აღმოსავლეთით, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში. მოსპობილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, თვითმავალი ქვემეხი და დამწვარია გერმანელთა ტანკი.

ყუბანის ქვედაწელში ჩვენმა რაზმებმა ჩასძირეს 4 ნაღი გერმანელ ჯარისკაცებიანად, რომლებიც ცდილობდნენ წყლის ზღუდეზე გადმოსულიყვნენ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა და სნაიპერებმა მოსპეს მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი. ქვეგანაყოფმა უფროს ლეიტენანტ ნეჩაევის მეთაურობით ღამით გადალახა მოწინააღმდეგის მავთულღობეები და შეიჭრა გერმანელთა სანგრებში. გაფთრებულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა გაჟლიტეს 40 ჰიტლერელი, ხოლო შემდეგ დაანგრიეს 7 ბლინდაჟი და 1 საარტილერიო სათვალთვალო პუნქტი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ტყვეები, დაზგის ტყვიამფრქვევი, სტერეომილი და ოპერატიული დოკუმენტები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ცეცხლითი ბრძოლა გრძელდებოდა. 5 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მოწინააღმდგომის რამდენიმე ათეული ძელმიწური საცეცხლე წერტი და ჩაახშეს 7 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითმა ჯარმა სცადა იერიში მოეტანა ჩვენს ჰოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა ულუაგდეს ჰიტლერელები და დიდი ზარალი მიაყენეს მათ.

* * *

სევსკის რაიონში საარტილერიო და სანაღმტყორცნო სროლა იყო. ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. 5 შენაერთის სნაიპერებმა გაჟლიტეს 110 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მფრინავმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ამბ. შეგჩენკომ ჰაერიდან შეამჩნია, რომ ეკიპაჟი გერმანელთა თვითმფრინავისა, რომელიც საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა დაეზიანეს და იძულებული გახდა ჩვენს ტერიტორიაზე დაშვებულიყო, ცდილობდა აფრენილიყო. ამბ. შეგჩენკომ ფაიერი თვითმფრინავი გერმანელთა თვითმფრინავის გეერდით დასვა. მოჰკლა ერთი მფრინავი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო ორი სხვა მფრინავი განაიარაღა და ტყვედ წამოიყვანა.

19 მაისის საღამოს ცნობა

19 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

18 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე დაამსხვრიეს რკინიგზის რამდენიმე ეშელონი, მოსპეს გერმანელთა 40-მდე ავტომანქანა ჯარგვალიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 11 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, მოსპეს პროჟექტორი და აიფეთქეს მოწინააღმდეგის საწყობი საწვავიანად.

* * *

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა და 5 ტანკმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ახლო მანძილზე მოუშვეს ცეცხლი, ცეცხლი დაუშინეს, დაზიანეს გერმანელთა 2 ტანკი და მოსპეს 150-მდე ჰიტლერელი.

ყუბანის ქვედაწელში გერმანელებმა შემოაღწიეს ჩვენი ქვეგანაყოფების შესაყარში. 5 ნაწილის მებრძოლებმა უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგზე და მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ცოცხლად დარჩენილმა ჰიტლერელებმა სცადეს ნავებით ეშველნათ თავისთვის. ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა და ჩასძირა 14 ნავი იქ მყოფ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაანგრიეს 7 ბლინდაჟი და ერთი სათვალთვალო პუნქტი, ჩაახშეს ერთი საანაღმტყორცნო და 6 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. 5 ნაწილის მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დიდმნიშვნელოვანი ოპერატიული დოკუმენტები.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ქვეითი ჯარის იარაღისა და არტილერიის ცეცხლით გაჟლიტილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია მოწინააღმდეგის 3 ბლინდაჟი, 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოსპობილია 4 ქვემეხი. 5 ნაწილის სნაიპერებმა 2 დღის განმავლობაში გაჟლიტეს 60 ჰიტლერელი.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა არტილერიამ მოახდინა ცეცხლითი თავდასხმა მოწინააღმდეგის საომარ მასალის საწყობი, აიფეთქა დიდი ნაღმიანი ველი, გაჩფენტა და ნაწილობრივ გაჟლიტა გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ერთ უბანზე ოცეული ამხ. მამედოვის მეთაურობით გარს შემოერტყა მტრის მზვერავთა ჯგუფს, გაჟლიტა 10 ჰიტლერელი და ხელთ იგდო 5 ტყვე.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მზვერავთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ სველიევის და უფროს ლეიტენანტ მაკოს მეთაურობით გადავიდა მოწინააღმდეგის დივიზიის შტაბის განლაგებაში და ტყვედ ჩაიგდო 2 გერმანელი შტაბის ოფიცერი. მზვერავებმა წმენდეს ბითა გამოიარეს მოწინააღმდეგის ზურგში და თავიანთ ნაწილში მოიყვანეს დატყვევებული ოფიცრები.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე, არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 მიწური, მოსპობილია 2 ქვემეხი, 14 ავტომანქანა ტვირთიანად, აფეთქებულია მოწინააღმდეგის საომარი მასალის საწყობი, ჩვენი ქვეგანაყოფების სნაიპერებმა 147 ჰიტლერელი მოსპეს.

ლენინგრადის მისადგომებზე სამაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 8 თვითმფრინავი. ბალტიელმა მფრინავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის სადარაჯო გემი, კატერი და კარუპაი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რკინიგზის 2 ხიდი ააფეთქა და ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. იმავე რაზმის პარტიზანებმა დასწვეს საწყობი საწვავიანად. ცეცხლით მოსპობილია 4 ტონა ბენზინი, 150 კასრი ნავთი და 4 ვაგონი საცხები მასალა. გზატკეცილებზე და საფრებიდან მოკლულია 43 ჰიტლერელი.

* * *

კრასნოდარის მხარის ქალაქ ეისკში გამოაშკარავებულია გერმანელი ფაშისტი არამზადების ახალი სისხლიანი ბოროტმოქმედებანი. ქალაქიდან 7 კილომეტრზე 2 სანგარში აღმოჩენილია ჰიტლერელების მიერ წამებით დახოცილ ადგილობრივ მცხოვრებთა 42 გვამი. მოკლულთა შორის არის 12 ქალი და 10 ბავშვი. გამოიცნეს ელექტროსადგურის მუშის ს. კლიმენკოს, ბუხჰალტერ ი. კულიშის, წყალსადენის მუშაკ მ. ბოჟეკოლნის, ტელეფონისტ ვ. ტოპორკოვას, კოლმეურნეობა „კიმის“ წევრ ვ. გორბანის და სხვათა გვამები.

* * *

იტალიელთა რაზმმა სცადა განედევნა ბერძენ პარტიზანები ერთი დასახლებული პუნქტიდან. პარტიზანები ამ დასახლებული პუნქტის მისადგომებზე შეხვდნენ ოკუპანტებს და საფრებიდან 80 იტალიელ ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. ბერძენ პარტიზანთა სხვა რაზმი თავს დაესხა იტალიელთა გარნიზონს და გაჟლიტა მოწინააღმდეგის 58 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქართველი ხალხის მამაცი შვილები

ლენინგრადის ფრონტის მებრძოლთა და მეთაურთა შორის საგმირო საქმეებით დაამტკიცა სამშობლოსადმი თავისი ერთგულება საქართველოს მრავალმა შვილმა. ზოგიერთი მათგანის შესახებ, რომლებიც მამაცურად იცავენ **ლენინის** სახელოვან ქალაქს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან, იუწყება ლენინგრადის ფრონტის სარდლობა.

ლოლუა ემელიანე თეიმურაზის-ძე — ნ პოლკის მეტყვიამფრქვეველთა ასეულის მეთაური. მან ფრონტზე განვლო გზა ეფრეიტორიდან უმცროს ლეიტენანტამდე. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა სადაზვერვო ოპერაციებში, რომელთა დროს მოსპო 18 ფაშისტი. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

პაპუნაშვილი ნიკო სარდიონის-ძე — ეფრეიტორი. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლების დროს ის შეიჭრა მტრის საბრძოლო წყობილებებში. მოსპო ოფიცერი და ორი გერმანელი ჯარისკაცი და ერთ-ერთი პირველთაგანი შეხვდა ვოლხოვის ფრონტის მებრძოლებს. დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

სეატრაძე გიორგი ვლადიმერის-ძე—ზემდეგი. მტრის ძლიერ ცეცხლში მოწინავე პოზიციებზე აწვდიდა მებრძოლებსა და მეთაურებს საომარ მასალებსა და ცხელ საჭმელს. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

ბერიძე არიფ მევლუდის-ძე—წითელარმიელი. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ჩასაფრებასა და დაზვერვაში. ყოველთვის გაბედულად და მტკიცედ ჰოქმედებდა. პირად საბრძოლო ანგარიშზე ჰყავს 9 მოკლული თეთრფინელი. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

ხოროკი გალაქტიონ მელიტონის-ძე—უფროსი ლეიტენანტი, ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაური. უკანასკნელ ბრძოლებში მან ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩაანგრია მტრის 3 საცეცხლე წერტი და უნარიანად ხელმძღვანელობდა თავის ქვეგანაყოფს. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და დაწინაურებულია ასეულის მეთაურის თანამდებობაზე.

რუხაძე გიორგი იოსების-ძე—ლეიტენანტი, ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაური. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა და მამაცმა მეთაურმა. რუხაძის ოცეულმა გაბედულად მიიტანა იერიში მტერზე. მოსპო ერთი დაზგისა და ორი ხელის ტყვიამფრქვევი, წაიწია წინ 800 მეტრზე და ჩვენი ქვეგანაყოფების მოსვლამდე შეინარჩუნა დაკავებული ზღუდე. ამხ. რუხაძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

მესხი შოთა დიმიტრის-ძე—ლეიტენანტი, ასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. კრასნი ბორის რაიონში ბრძოლების დროს იგი თავის ასეულთან ერთად სამი დღე-ღამის განმავლობაში გარემოცვაში იმყოფებოდა. მაგრამ დაკავებული ზღუდე შეინარჩუნა და მტრის ყველა იერიში მოიგერია. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

კურტანიძე ალექსი პავლეს-ძე — ნაღმტყორცნელთა ასეულის მეთაურის მეკავშირე. ომის განმავლობაში მან 8 ჭრილობა მიიღო, მათ შორის 4 მძიმე ჭრილობა. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლების დროს მას თავს დაესხა ჩასაფრებული მტერი, მაგრამ მან მამაცურად მოიგერია მტერი და მოსპო 3 ჰიტლერელი. მეორე ბრძოლაში მან თავისი სხეულით დაიფარა მეთაური და, ჭრილობის მიუხედავად მწყობრიდან არ გამოსულა.

მურადაშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე — კაპიტანი, ბატალიონის მეთაური. სინიავინის ჭაობების რაიონში შეტევითი ბრძოლების დროს მან თავი გამოიჩინა როგორც გამოცდილმა და გაბედულმა მეთაურმა. ბატალიონის მებრძოლები მურადაშვილის მეთაურობით გაიჭრნენ რკინიგზის ხიდზე და 5 დღის განმავლობაში მტკიცედ ინარჩუნებდნენ დაკავებულ პოზიციებს მაშველი ძალების მოსვლამდე. თვით მურადაშვილი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. სამამულო ომის განმავლობაში მურადაშვილმა 8 ჭრილობა მიიღო. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ჩალაკიძე ივანე — წითელარმიელი, არტილერისტი. ბრძოლის დროს იგი მარტო დარჩა ქვემეხთან და პირდაპირი დანიშნებით მოიგერია გერმანელთა კონტრიერიშები.

ჩეველდარი ზაქარია — წითელარმიელი. ბრძოლის დროს მან ერთ-ერთმა პირველმა მიაღწია მტრის სანგრებს და ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლა ორი გერმანელი, ხოლო ერთი ტყვედ წამოიყვანა.

ჯიქია ნიკოლოზ—წითელარმიელი. 8 ამხანაგთან ერთად იგი მოექცა მტრის რკალში. ერთმა მუჭა გულადმა მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის 6 იერიში და ორი დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებდნენ დაკავებულ მაღლობს. მაღლობის მისადგომები მოფენილი იყო მტრის გვამებით. მესამე დღეს, როდესაც მებრძოლებს აღარც ერთი ვაზნა არ დარჩათ, მათ სიგნალი მისცეს არტილერისტებს: „ცეცხლი მაღლობს!“. ათობით ყუმბარები დაატყდა თავს გერმანელებს, ასზე მეტი გვამი დასტოვეს მათ ბრძოლის ველზე.

ზაიძე დავით პატარენის-ძე—ლეიტენანტი, ასეულის მეთაურის მოადგილე. გერმანელთა ჭარის ძალებთან ბრძოლაში მან ქვეგანაყოფის უნარიანი ხელმძღვანელობის მაგალითი გვიჩვენა. ოცეულმა, რომელსაც ზაიძე მეთაურობდა, გაბედული კონტრიერიშით განდევნა გერმანელთა 50 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი და ტყვედ წამოიყვანა 5 ფაშისტი. თვით ზაიძემ ამ ბრძოლაში 10 გერმანელი მოსპო.

ელერდაშვილი გიორგი ლაზარეს-ძე — სადაზვერვო ოცეულის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს საგმირო საქმეებისათვის. მან მოსპო 30-მდე ფაშისტი. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ნაზაძე ზაქარია სიმონის-ძე — სერჟანტი. ერთ-ერთ ბრძოლაში მან განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინა. მტრის ყუმბარა მოხვდა ძელმიწურ საცეცხლე წერტს, რომელშიც ყუმბარები ინახებოდა. საცეცხლე წერტს ცეცხლი მოეკიდა, ყუმბარებმა იწყეს აფეთქება. მიუხედავად საფრთხისა, ნაზაძე შეიჭრა ცეცხლმოკიდებულ ძელმიწურში და გამოიტანა იქიდან ქვემეხი და ყუმბარების ნაწილი.

სნაიპერმა გამანადგურებელნა, წითელარმიელმა დურსუნ ნეჯედის-ძე **ინაშვილმა** მოსპო 87 გერმანელი, წითელარმიელმა ამირან ვლადიმერის-ძე **ჩაჩავამ** მოსპო 86 ჰიტლერელი.

დეკემბერი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა გაერთიანებული ერების კონფერენცია ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე

ჰოტ სპრინგსი (ვირგინიის შტატი), 18 მაისი (საკდესი). დღეს საღამოს აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების კონფერენცია ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე. კონფერენციას ესწრება 150-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ 44 ქვეყანას. რუზველტმა კონფერენციას წერილით მიმართა.

კონფერენციის გახსნის წინ აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც შესდგება ყველა ქვეყნის დელეგაციათა თავმჯდომარეებისაგან, მოიწონა დღის წესრიგი და კონფერენციის დროებით თავმჯდომარედ დაამტკიცა ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ჯონსი.

რუზველტის მიმართვა ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე მოწვეული გაერთიანებულ ერთა კონფერენციისადმი

ნიუ-იორკი, 18 მაისი (საკდესი). რუზველტმა ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე მოწვეული გაერთიანებულ ერთა კონფერენციის დროებით თავმჯდომარე ჯონსს შემდეგი წერილით მიმართა:

„გთხოვთ თქვენ, როგორც სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოწვეული გაერთიანებულ ერთა კონფერენციის ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარესა და ამ კონფერენციის დროებით თავმჯდომარეს, გადასცეთ შეკრებილ დელეგატებს ჩემი გულითადი სინანული იმის გამო, რომ არ შემიძლია პირადად დავესწრო კონფერენციას, რათა მივესალმო მათ ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. ომის წარმოებასთან დაკავშირებული გადაუდებელი ამოცანები შეუძლებელს ხდიან ჩემს დასწრებას კონფერენციაზე, ხოლო სანამ ჩვენ არ მოგვიგწევია ჩვენი მტრების სიტყვაშეუბრუნებელი კაპიტულაციისათვის, მანამდე ყველაზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ გამარჯვების მიღწევის ამოცანას. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ შემდეგში შესაძლებლობა მექნება შევხვდე დელეგატებს და პირადად გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა იმ ამოცანის დიდმნიშვნელობაში, რომლის განხილვასაც ისინი იწყებენ.

ეს პირველი კონფერენციაა გაერთიანებული ერებისა. ჩვენ ერთად ვიბრძვით ჩვენი მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ერთად ვშრომობთ ისეთი მსოფლიოს შესაქმნელად, რომელშიც ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ იცხოვრონ მშვიდობიანობის, აყვავებისა და უშიშროების პირობებში. ის ფართო მიზნები, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, ჩამოყალიბებული იყო ატლანტიკის ქარტიაში, გაერთიანებული ერების დეკლარაციაში და ამერიკის 21 რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირზე. რაც შესდგა რიო დე-ჟანეიროში 1942 წლის ივნვარში.

ამ კონფერენციის მიზანია შეიმუშაოს შემდგომი პოლიტიკა ომისშემდგომი პერიოდისათვის სურსათისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარების, წარმოებისა და განაწილების დარგში. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიოში, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით და რომლის გულისთვისაც ჩვენ ვშრომობთ, ოთხი თავისუფლება უნდა მიენიჭოს ყველა ადამიანს. ჩვენ ვიცით, რომ თითოეული ამ თავისუფლებათაგანი სხვა თავისუფლებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, შიშისაგან თავისუფლება არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, თუ არ იქნა თავისუფლება გაჭირვებისაგან. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ყოველმა ქვეყანამ ცალკე და ყველა ქვეყანამ კოლექტიურად უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ამ თავისუფლებათა უზრუნველყოფისათვის. მათ უნდა გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯები, რათა სურსათის მსოფლიო წარმოება იმგვარად განავითარონ, რომ იგი აკმაყოფილებდეს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს საჭიროებებს. მათ უნდა უზრუნველჰყონ, რათა ვერავითარი დაბრკოლება ვერც საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, ვერც ტრანსპორტირების დარგში, ვერც შინაური განაწილების დარგში ხელს ვერ უშლიდეს არც ერთს ქვეყანას ან მოქალაქეთა ჯგუფს ქვეყნის შიგნით—მიიღონ თავიანთი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სურსათი. საზოგადოებამ მთლიანად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, უზრუნველჰყოს ყველა თავისი წევრი აუცილებელი კვების მინიმალური დონით მაინც.

პრობლემები, რომლებსაც ეს კონფერენცია განიხილავს, ყველაზე ძირითად პრობლემებს წარმოადგენენ, ვინაიდან უსურსათოდ და უტანსამოსოდ თვით სიცოცხლეც შეუძლებელია. გაერთიანებული ერების ამ და სხვა კონფერენციების შედეგად ჩვენ გავავრცელებთ ჩვენს თანამშრომლობას სამხედრო პრობლემებიდან ახალ უმნიშვნელოვანეს დარგებზე. მხოლოდ ერთად მუშაობით შეეძლებთ ჩვენ ვისწავლოთ ერთობლივად მუშაობა. ჩვენ კი უნდა ვმუშაობდეთ და კიდეეაც ვიმუშავებთ ერთობლივად“.

რუზველტის განცხადება ჩერჩილთან მისი მოღაპარაკების შესახებ

ვაშინგტონი, 18 მაისი (საკდესი). რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი მოლაპარაკება ჩერჩილთან დამაკმაყოფილებლად ვითარდება. მაგრამ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. კანადის პრემიერ-მინისტრ კინგს მოლაპარაკებაში მონაწილეობა ჯერ კიდევ არ მიუღია.

გენერალ ეიზენჰაუერის განცხადება მოკავშირეთა მიერ ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების ოკუპაციის შესახებ

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბიდან გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა ეიზენჰაუერმა 18 მაისს განაცხადა, რომ ტუნისში წამოყვანილი ტყვეების რიცხვი 200.000 კაცს აღემატება. წამოღებულია მნიშვნელოვანი დაცვა, რომლის დათვლაც სწარმოებს.

ამერიკის ჯარების ოპერაციები კუნძულ აგუზე

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა 18 მაისს გამოაცხადა, რომ კუნძულ ატუზე ამერიკის ჯარებმა დაიკავეს კლდოვანი ქედი, სადაც იაპონელთა სიმაგრეები იყო. ამერიკის ჯარებს ამჟამად იერიშები მიაქვთ იაპონელთა ძირითად პოზიციებზე.

უდიდესი წყალდიდობა რურის ოლქში

ინგლისის ავიაციის მიერ დასავლეთ გერმანიაში ჯებირების დანგრევის შედეგები

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ავიაციის თავდასხმის შედეგად დასავლეთ გერმანიაში ჯებირების დანგრევით გამოწვეული წყალდიდობა რურის ოლქის ცენტრამდე გავრცელდა. წყლის დონე მდინარე რაინსა და ვეზერში სწრაფად მატულობს. დიდი სამრეწველო ცენტრების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოშლილია წყლის ვეებერთელა ღელვარით. წყალდიდობამოდებულ რაიონებში მოსახლეობის საერთო რიცხვი 5.5-6 მილიონ კაცს შეადგენს. წყალდიდობის შედეგად მთელი რაიონები ახლა განცალკევებული აღმოჩნდა.

ვიქტორ დოლიძე

(გარდაცვალებიდან 10 წლისთავის შესრულების გამო.)

ქართული მუსიკალური კულტურის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ნიჭიერ კომპოზიტორს ვიქტორ დოლიძეს, რომელიც სამართლიანად ითვლება საქართველოს ერთ-ერთ პოპულარულ მუსიკოსად.

ვიქტორ ისიდორეს-ძე დოლიძე დაიბადა 1890 წელს. კიევში მან დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი, მაგრამ ეს სპეციალობა მას არ იზიდავდა. კიევშივე მიიღო მუსიკალური განათლება და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა შემოქმედებითს მუშაობას.

ვ. დოლიძის პირველი დიდი ნაწარმოებია კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, რომლის ლიბრეტო ქართული კლასიკური კომედიის „ხანუმას“ სიუჟეტზეა აგებული. ოპერამ, რომელიც დაწერის პირველსავე წლებში დაიდგა ოსკოვში რომინის თეატრში, ეტლის დამსახურებულად მოუპოვა დიდი წარმატება. 1918 წლიდან დაწყებული, როცა კომპოზიტორმა „ქეთო და კოტე“ დამთავრა, ეს ოპერა მუდამ თბილისის სამაჯრო თეატრის რეპერტუარშია. მას დიდი წარმატებით დადგმენ უკრაინის და საბჭოთა კავშირის სხვა საოპერო თეატრები.

„ქეთო და კოტეს“ წარმატება აიხსნება მისი მუსიკის ხალხურობით, ცხოველმყოფელი იუმორით, მოქმედ პირთა ხასიათების სრულქნილად გამოკვეთით. ძველი თბილისის ყოფა ოსტატურად არის ასახული ამ ოპერაში.

ვ. დოლიძეს ეკუთვნის ოპერები „ლეილა“ და „ცისანა“. უკანასკნელი რევოლუციურ სიუჟეტზეა აგებული. ავტორი ამ ოპერაში შეეცადა მხატვრულად აესახა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია.

ვ. დოლიძის მუსიკალური მემკვიდრეობა დიდია. მან დაგვიტოვა ერთი საბავშვო ოპერა, ბალეტი, სიმფონიური ფანტაზია „ივერიადა“, 40-ზე მეტი რომანსი. მას ჩაწერილი და დანუშავებული აქვს 200-მდე ოსური ხალხური სიმღერა.

გრ. რიონელი

„გამარჯვება უდაბნოში“

აფრიკის უდაბნო. საუკეთესო ადგილი ბრძოლებისათვის, მაგრამ ამავე დროს რთული. დიდი სიცხეები, უწყლობა და ქვიშის ქარიშხალი ადამიანს სულს უხუთავს. ეგვიპტე და ლიბია. 1942 წლის შემოდგომა.

პოპულარული დოკუმენტალური ფილმი „გამარჯვება უდაბნოში“ მაყურებელს უჩვენებს ინგლისის მერვე არმიის მიერ გერმანია-იტალიის ჯარების განადგურებას ეგვიპტესა და ლიბიაში. ამ ფილმს იღებდა ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალთა საარმიო კინო-ფოტოგანყოფილებისა და კინოგანყოფილების 32 ოპერატორი, რომლებიც არმიის შენაერთებთან იყვნენ საბრძოლო ოპერაციების დროს. მათგან 5 ოპერატორი დაიჭრა, ამდენივე ტყვედ იქნა წაყვანილი მოწინააღმდეგის მიერ, ხოლო 5 მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე. ფილმს მუსიკა დაუწერა ვილიამ ოლვინმა, ხოლო კომენტარიები — ჯ. ხოდსონმა.

ეს სახელგანთქმული დოკუმენტალური ინგლისური ფილმი იწყება ეგვიპტის ჩვენებით. რომმელი ემზადება შეტევისათვის, რათა დაიკავოს ალექსანდრია და კაირო, ნილოსის უხვი ველი, სუეცის არხი, და ამგვარად დაამთავროს აფრიკის კამპანია. ფაშისტი გენერალი ბერლინში არწმუნებს ჟურნალისტებს: „მას, რაც ჩვენს ხელშია, უკანვე არავის მივცემთ. ჩვენ ვდგევართ ეგვიპტის კარებთან მტკიცე განზრახვით—შევუტოროთ“. „უძლეველ“ რომმელს ფელდმარშალის კვერთხს აძლევს ტირანი, დაიმედებული, რომ ზღაპრული ეგვიპტე მალე მის ხელთ იქნება.

მაგრამ უდაბნოს ქვიშაზე აგებული ალმოჩნდა ფაშისტთა ბანდის ატამანის ეს იმედი. მას შემდეგ, რაც გენერალმა ოკინლეკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და განახორციელა ლიბიიდან მძიმე უკანდახევა, ინგლისის მერვე არმიისათვის სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს იქ ჩადის ჩერჩილი, რომელიც ჯარს ამხნევებს. მერვე არმია ემზადება შეტევისათვის. ნაჩვენებია ინგლისისა და ამერიკის საწარმოები, რომლებიც ტანკებს, თვითმფრინავებს, საჭურველს ამზადებენ მონტჰომერის არმიისათვის. მერვე არმიის მეთაურები და ჯარისკაცები სპეციალურ წრთვნას გადიან უდაბნოში მომავალი ბრძოლებისათვის.

ფილმში ნაჩვენები არიან გენერლები ალექსანდერი, მონტჰომერი, ადმირალი ხერვუდი და ავიაციის მარშალი ტედერი.

60 კილომეტრიან ფრონტზე იწყება შეტევა. რომელის თავდაცვის ხაზი გაირღვა. გერმანელები გარბიან, ბედის ანაბარა სტოვებენ იტალიელებს და იწყება მოწინააღმდეგის ოფიცრებისა და ჯარისკაცების ტყვედ დანებება.

ეგვიპტესა და ლიბიაში წარმოებული ბრძოლები ფილმში გადაღებულია დიდი ხელოვნებით. მრისხანე სატანკო და საჰაერო ბრძოლები. საფლანგო დარტყმები, მტრის ზურგში შეჭრა—ყოველივე ეს ფილმში მხატვრული სიმართლით არის ნაჩვენები.

მერვე არმია წინ მიიწევს. აი მერსა-მატრუხი, მისი დანგრეული, უსარკმელო და გადამწვარი სახლები, სიდი-ბარანი, ეს-სალუმი, ტობრუკი, დერნა, ბენგაზი, მისრატა, ტრიპოლი. ტრიპოლის აღებით მთავრდება „გამარჯვება უდაბნოში“. შემდეგ კი მაყურებლისათვის ცნობილია რომმელის არმიის სრული კრახი. 11 დივიზია მიიყვანა მან ნილოსთან, გერმანიაში კი, სადაც იგი ტუნისიდან გაიქცა, ერთი ათეულიც ველარ ჩაიყვანა. ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის ჯარებმა მთლიანად შემუსრეს ღერძის სახელმწიფოთა არმიები ტუნისში.

ნოკაუშრეთა სამხედრო ოსტატობამ გაიმარჯვა.

მაგრამ ამავე დროს უდაბნოში გამარჯვება ჩვენმა მოკავშირეებმა შესძლეს იმის გამო, რომ წითელმა არმიამ არა მარტო შეაჩერა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ურდოები. არამედ თავისი კოლოსალური შეტევით 1942-1943 წლის ზამთრის კამპანიაში უდიდესი ზარალი მიაყენა ჰიტლერის სარეზერო მანქანას. ჰიტლერს საშუალება აღარ ჰქონდა ახალი ძალები მიეშველებინა რომმელისათვის აფრიკაში.

„განარჯვება უდაბნოში“ დამსახურებული წარმატებით მიღის ჩვენს კინოთეატრებში და ამას დიდი ინტერესით ნახულობენ საბჭოთა მაყურებლები.

ბ. ბეგელაძე

მესამე საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება მესამე საზაფხულო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსისათვის მზადებასა და მის ჩატარებაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

კროსი, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელი მასების ფართოდ ჩაბმას სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებაში და სპორტის გასამხედროებულ სახეებში საუკეთესოდ მოშზადებული პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების გამოვლენას, ჩატარდება 23 მაისიდან 14 ივნისამდე.

კროსის პროგრამა ითვალისწინებს მშთ I და II საფეხურისა და იმშთ ნორმების ჩაბარებას.

კროსისათვის მზადებისა და ჩატარების სახელმძღვანელოდ საქ. ალკკ ცენტრალური კომი